მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი პროექტები				
	შემსრულებელი/სახელი გვარი	სამეცნიერო კვლევითი პროექტის დასახელება	პროექტის დასრულების ვადა	სტატუსი
1	გიორგი დოლიძე	„დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება"	36 თვე (2022-2025წ.წ.)	ETA-013 აკადემიური საბჭოს დადგენილება 2 2400111144
ანოტაცია სხვადასხვა ენაზე არსებული აკადემიური წყაროების მიუხედავად, ქართულ ენაზე არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო, რომელიც აღწერს თავდაცვის რესურსების დაგეგმვისა და მართვის ერთიან სისტემას, მეთოდოლოგიებს, ძირითად მექანიზმებს, პროცედურებსა და პროცესებს. დოკუმენტი ხელს შეუწყობს თავდაცვის დაგეგმვისა და რესურსების მართვის პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის და საჭირო უნარების ამაღლებას. კერძოდ, რესურსების დეცენტრალიზებული მართვის განვითარებას თავდაცვის პოლიტიკის, უწყვეტი დაგეგმვის და მოთხოვნებზე დაფუძნებული ბიუჯეტირების პროცესის შესახებ ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლების გზით.				
2	ნინო ოხანაშვილი	„საგარეო პოლიტიკის ანალიზი"	(2022-2025 წ.წ.)	ETA-015 აკადემიური საბჭოს დადგენილება 2 2400111144

<table>
<tr><td colspan="5">

ანოტაცია

საგარეო პოლიტიკის ანალიზი ქართულ ენაზე წიგნის სახით არ არის გამოცემული, შესაბამისად, სახელმძღვანელოს შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება, რომელიც დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო ღირებულებას, გადაწყვეტილების მიღების მოდელები და თეორიული ჩარჩო, რომელიც წიგნის ფარგლებში იქნება განხილული, მნიშვნელოვან სამეცნიერო ღირებულებას შესძენს მას.

</td></tr>
<tr><td>3</td><td>**ქეთევან მესხიძე**</td><td>**„რუხი ზონები: გეოპოლიტიკური დომინირების ინსტრუმენტი და პლაცდარმი „დიდ სახელმწიფოთა“ სტრატეგიული კონკურენციისთვის ჰიბრიდული აგრესიის საწარმოებლად“**</td><td>36 თვე
(2022-2024 წ.წ.)</td><td>ETA-016

აკადემიური საბჭოს დადგენილება 2 2400111144</td></tr>
<tr><td colspan="5">

ანოტაცია

თემის აქტუალობას განაპირობებს მისი მჭიდრო კავშირი მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებთან. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ სამხედრო ძალა ჯერ კიდევ წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორს, ხოლო მსოფლიოში მიმდინარე ლოკალური და რეგიონული სამხედრო კონფლიქტები - განვითარებადი სამყაროს ზოგად დამახასიათებელ ნიშანს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში შეერთებულ შტატებსა და ნატოში ხორციელდება ე. წ. „რუხი ზონის“, როგორც სტრატეგიული გარემოს შესწავლა, რომელშიც ახალი მსოფლიო წესრიგის ფარგლებში საერთაშორისო სისტემის ფორმირება ხორციელდება. „რუხ ზონებში“ ცვლილებას ექვემდებარება

</td></tr>
</table>

ნორმატიულ-სამართლებრივი ვითარება, ინსტიტუტები, ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოს პრიორიტეტები. მოქმედებები კი განასახიერებს ჰიბრიდული ომის თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული სტრატეგიის ერთერთ ვერსიას საბრძოლო მოქმედებათა თეატრში. ასეთი ოპერაციების ჩატარება საშუალებას იძლევა კონკურენცია გაუწიოს სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვეულებრივი ომისა და იმ ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, რამაც შესაძლოა საერთაშორისო რეაქცია გამოიწვიოს. აქედან მომდინარეობს ტერმინი „რუხი ზონა“, როგორც შუალედური რგოლი ომსა და მშვიდობას შორის.

იგი მიეკუთვნება ე. წ. „სტრატეგიული გაურკვევლობის“ სფეროს, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფოში, რეგიონში ან მსოფლიო არენაზე სამხედრო და პოლიტიკურ სფეროში ისეთი პირობების შექმნას, სადაც ძნელია ვითარების სწორად შეფასება, შეიარაღებული ძალების ეფექტურად გამოყენება და ადეკვატური, თანაბარზომიერი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.

„რუხი ზონა“ ქმნის ფართო სივრცეს სხვადასხვა პრობლემის კონცენტრაციისთვის. იგი ძალიან ჰგავს ომს, მაგრამ, ეს არ არის ომი, რამდენადაც „რუხი ზონაში“ გამოყენებული მეთოდები წარმოადგენს დაშინების, იძულებისა და აგრესიის უნიკალურ კომბინაციას, რომელიც ეტაპობრივად გამოიყენება წინააღმდეგობების ჩასახშობად, ადგილობრივი ან რეგიონალური უპირატესობის მოსაპოვებლად და რისკების მანიპულირებისთვის თავის სასარგებლოდ. ამგვარი აღწერილობის თანახმად, „რუხი ზონა“ წარმოადგენს ახალ სივრცეს ომისა და მშვიდობის ტრადიციულ კონცეფციებს შორის (Votel, Cleveland, Connett, Irwin 2016, 31).

„რუხი ზონა“ მოიცავს აგრესიულ სახელმწიფო სტრატეგიებს მაღალი ფსონებით, რომელშიც თითოეული მონაწილე ღია ან ფარული საშუალებებისა და მეთოდების, პროვოკაციებისა და კონფლიქტების საშუალებით იყენებს ზემოქმედებისა და დაშინების სხვადასხვა ინსტრუმენტს „ომის საბოლოო მიზნების“ მისაღწევად.

საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიმართულებით საქართველოში სამხედრო და სამეცნიერო სფეროში კომპლექსური კვლევა არ განხორციელებულა, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა პრაქტიკულად არ არსებობს და მხოლოდ ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტების, ჩატარებული კვლევების, სტატიების, მოხსენებებისა და ელექტრონული რესურსების სახითაა ხელმისაწვდომი. საკითხი მით უფრო **აქტუალურია საქართველოს, როგორც ჰიბრიდული ომის მსხვერპლი სახელმწიფოსთვის, რომელიც თვითონ წარმოადგენს ე.წ. „რუხ ზონას“**, რომელთან დაკავშირებითაც მთელი რიგი სახელმწიფოების ინტერესები იკვეთება და საკუთარი

<table>
<tr><td colspan="5">გეოპოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ. აქედან გამომდინარე, ეს იქნება პირველი ნაშრომი, რომელიც სიღრმისეულად განიხილავს პრობლემას აღნიშნული მიმართულებით.</td></tr>
<tr><td>4</td><td>შადიმან ბიწაძე
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე
დაჩი მამულაშვილი</td><td>„შავი ზღვის გეოპოლიტიკა“</td><td>(2021-2024 წ.წ.)</td><td>ETA – 017
აკადემიური საბჭოს დადგენილება
2 2400111144</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია
2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში მიღებული იქნა „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“, რომლის მთავარი დანიშნულებაცაა ნატოსთან თავსებადობის გაუმჯობესება და ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობა, რაც ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს.
„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეულია საქართველოს მიერ საზღვაო სეგმენტის გაძლიერება.
შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე დინამიური ტრანსფორმაცია აიძულებს საქართველოს იფიქროს უფრო აქტიურ საზღვაო თანამშრომლობაზე, რომლის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს მზადყოფნა ნატოს ქვეყნებისათვის საკუთარი საზღვაო ინფრასტრუქტურის შეთავაზება საზღვაო სწავლებების დროს რუსეთის სამხედრო-საზღვაო პოტენციალის გაძლიერების ფონზე შავ ზღვაზე. რეგიონში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით მონოგრაფიის „შავი ზღვის გეოპოლიტიკის“ შექმნა და გამოცემა აქტუალურია.</td></tr>
<tr><td>5</td><td>თადარიგის პოლკოვნიკი
გიორგი კბილცეცხლაშვილი
ანანო გამსახურდია</td><td>„სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება”</td><td>(2022-2024 წ.წ.)</td><td>ETA – 018</td></tr>
</table>

				აკადემიური საბჭოს დადგენილება 2 2400111144

ანოტაცია

სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არის გამოცემული, შესაბამისად, მისი შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. სახელმძღვანელო დიდ თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო ღირებულებას, საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ექნება თეორიული და ფაქტობრივი მასალა აღნიშნული საკითხების შესახებ.

6	**არჩილ ჩაჩხიანი**	**,,ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია. ნაწილი პირველი'' (პუატიედან კონიგრაცამდე)**	24 თვე (2024-2026 წწ.)	ETA-024 **აკადემიური საბჭოს ოქმი 6 24 00228383**

ანოტაცია

განსახილველად წარმოდგენილი პროექტის ,,ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია. ნაწილი პირველი" სახელმძღვანელოს აქტუალობასთან დაკავშირებული საკითხი მეტად ტრივიალური და ნათელია. თუ უფრო დავაზუსტებთ, აღნიშნული საკითხის დასმა არა თუ ნათელი, არამედ აუცილებელია. უფრო მეტიც. წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შექმნა მეტად გადაუდებელ ამოცანად გვესახება, იმდენად, რამდენადაც, 2024-2025 სასწავლო წლის პირველივე სემესტრში უკვე გადაწყვეტილია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სასწავლო კურსიდან სრულად გამოყოფა და დასახელებული სავალდებულო საგნის მაგისტრატურის მსმენელთთვის სწავლება. შესაბამისად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების შესაბამისი და რელევანტური სახელმძღვანელო.

7	ზურაბ აგლაძე	„პოსტკონფლიქტური საზოგადოების მშენებლობა: (აფხაზეთი/სამაჩაბლო)"	36 თვე (2024-2025)	ETA-026 **აკადემიური საბჭოს დადგენილება 1 24 00354568**

ანოტაცია

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება სახელმძღვანელო პოსტკონფლიქტური საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ, რომლითაც უპირველეს ყოვლისა ისარგებლებენ აკადემიის იუნკრები/მსმენელები და პროფესურა; ასევე, აკადემიის მიღმა კონფლიქტებით დაინტერესებული პროფესიული თემი და ფართო საზოგადეობა.

პირველადი გეგმის მიხედვით პროექტის შესრულების ვადად განსაზღვრულია 36 თვე, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების კონტურების გამოკვეთამდე საჭიროა საზოგადოებამ გაიაზროს როგორი უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარების შემდგომი საზოგადოება. შესაბამისად, პროექტის მენეჯმენტმა პროექტის მართვის, მოქნილი (agile) მიდგომა შეარჩია, რაც გულისხმობს, პროექტის ადაპტაციას არსებული რეალობის კვალდაკვალ, მისი მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების ცვლილების გარეშე.

8	**პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი**	**საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი მოთხოვნები 21-ე საუკუნის ლოკალური კონფლიქტების დინამიკის გათვალისწინებით**	4 წელი (2025-2028 წ.წ.)	ETA-033 **აკადემიური საბჭოს დადგენილება 3 25 0045981**

	გენერალ-მაიორი კობა კობალაძე **ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე** **ირაკლი ბათიაშვილი** **თეიმურაზ ლორია** **ნიკოლოზ ესიტაშვილი** **თინათინ კროპაძე** **ზურაბ სამხარაძე**			

ანოტაცია

არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ასევე ბოლო წლების ომებზე დაკვირვებიდან გამომდინარე, იკვეთება თანამედროვე ომების ანალიზის, საბრძოლო მოქმედებების წარმოების გამოცდილების, ჯარების სახეობების და გვარეობების გამოყენების ტაქტიკის და თავისებურებების ცვლილებების შესწავლის აუცილებლობა, რაც ინფორმაციების მოძიებას და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

კვლევა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. **რეგიონის გეოპოლიტიკური პროფილი გლობალური ცვლილებების ფონზე** - რეგიონის გეოპოლიტიკური პროფილის სწორად შეფასება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სამხედრო სტრატეგიის შესამუშავებლად.
2. **საომარი მოქმედებების ხასიათის ცვლილებათა დინამიკა უახლეს სამხედრო კონფლიქტებში** - თანამედროვე შეიარაღების გამოყენების გავლენა ბრძოლის დინამიკასა და ხასიათზე.
3. **თავდაცვის ძალების სახეობებისა და გვარეობების საბრძოლო გამოყენების თავისებურებები თანამედროვე კონფლიქტებში** - უპილოტო საფრენი აპარატების მასობრივმა გამოყენებამ შეცვალა სხვა ტიპის შეიარაღებისა და ტექნიკის გამოყენების სპეციფიკა, რამაც გავლენა იქონია ბრძოლის ველზე ჯარების სახეობების და გვარეობების მოქმედებების ოპერატიულ ხელოვნებასა და ტაქტიკაზე.
4. **ტერიტორიული თავდაცვის ძალების როლი და ადგილი ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების ახალი გამოწვევების გათვალისწინებით** - უახლესი ომების დაკვირვების შედეგად

იკვეთება შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ საჭიროა ტერიტორიული თავდაცვის სფეროში გარკვეული მიდგომების გადახედვა. **5. თანამედროვე ომების პირობებში სამოქალაქო უსაფრთხოების ახალი მოთხოვნები** - ადამიანური რესურსის, ეკონომიკის ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის საქმეში სამოქალქო უსაფრთხოების სისტემის ფორმირების თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინება. **6. დასკვნები და რეკომენდაციები:**				
9	**მაია გამსახურდია ლევან ნიკოლეიშვილი ირაკლი უჩაძე აჰმედ გორგენი ჯამბულ ზალოშვილი ლევან გოზალიშვილი ზურაბ გარაყანიძე კახა ფუტკარაძე ემილია ალავერდოვი თინათინ ჟორჟოლიანი სოფიო მეტრეველი ნიკოლოზ ესიტაშვილი თორნიკე ზედელაშვილი თამარ სამხარაძე გიორგი ცნობილაძე თამარ ხადური სალომე დავითულიანი**	**უსაფრთხოების გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში: საერთაშორისო და რეგიონალური გავლენები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე და მათი სამომავლო პერსპექტივები (Security Challenges in the Black Sea Region: International and Regional Implications Amid the Russia-Ukraine War and their Future Prospects) (ინგლისურ ენაზე)**		ETA-034 **აკადემიური საბჭოს დადგენილება 7 25 00455985**
ანოტაცია საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს რეგიონის ქვეყნების				

როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორს. აღნიშნული თემის ანალიზის აქტუალობა უფრო გაზარდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, რუსეთ-უკრაინის ომმა და რეგიონის მიმართ დაინტერესებული აქტორების მხრიდან ინტერესის ზრდამ. მიმდინარე ომის ფონზე, კონფლიქტური კერების წარმოქმნამ და მზარდმა მილიტარიზაციამ მთლიანად შეცვალა ძალთა ბალანსი შავ ზღვაზე, რამაც თავის მხრივ განაპირობა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარემოს არასტაბილურობა, კერძოდ, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემოს ძირეული ცვლილება და ძალთა ბალანისის რადიკალური გადანაწილება. აღნიშნულმა განაპირობა შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების პარადიგმის ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც გაიზარდა დაძაბულობა, მილიტარიზაცია და სამხედრო მანევრირება. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შედეგად შექმნილმა ახალმა რეალობამ და რეგიონალური უსაფრთხოების არასტაბილურობამ გამოიწვია შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესების მიმართ გარე აქტორების მზარდი ჩართულობა, რამაც თავის მხრივ, შავი ზღვის რეგიონი დააყენა უსაფრთხოების როგორც ახალი გამოწვევების, ისე არსებულის ზრდის ინიცირების წინაშე. შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩაერთვნენ ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

მიმდინარე საერთაშორისო მოვლენები, რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებული გამოწვევები და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ახალი რეალობა აიძულებს შავი ზღვის ქვეყნებს და საერთაშორისო აქტორებს გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე და სტრატეგიული წინდახედულება თავიანთი გეოპოლიტიკური პოლიტიკის განსაზღვრაში. მიმდინარე ტენდენციები ნათლად აჩვენებს რომ საერთაშორისო აქტორები შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას სულ უფრო მეტად ანიჭებენ პრიორიტეტს. ეს გამოიხატება არა მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკის ინტესიფიკაციაში, არამედ რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმატების ჩამოყალიბებაში. შედეგად ყალიბდება რეგიონის ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც მოიცავს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებებს. მოცემული კვლევა შეისწავლის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში. ყურადღება დაეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა ნატოს და ევროკავშირის სტრატეგიული პოლიტიკა რეგიონის მიმართ, რუსეთისა და თურქეთის გავლენების ბალანსი, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ეკონომიკური თანამშრომლობა. აღნიშნული ფაქტორების სიღრმისეული ანალიზი აუცილებელია იმის გასაგებად, თუ როგორ ვითარდება რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა და

როგორ შიძლება შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომობის გაღრმავება გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორები და ის გარემოება, რომ აღნიშნულ საკითხზე მცირერაოდენობით კვლევაა ჩატარებული კიდევ უფრო ზრდის აღნიშნული კვლევის აქტუალობას.				
10	**თინათინ კროპაძე** ქეთევან კვესელავა ელინა შავდათუაშვილი ნინო კანდელაკი ლექსო ჭოჭელი	**„აკადემიური პროკრასტინაცია, როგორც დისტანციური სასწავლების პროცესში ჩართული ქცევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები“**		**ETA-035** **აკადემიური საბჭოს დადგენილება 7 25 00455976**

ანოტაცია

პროკრასტინაცია არის ადამიანის მიდრეკილება, გადაავადოს მნიშვნელოვანი საქმე. პიროვნება ხვდება, რომ საქმე აქვს გასაკეთებელი, თუმცა, აიგნორებს მას და უმნიშვნელო საქმეებზე ხარჯავს დროს. ეს არის თვითდამაზიანებელი ქცევის ნიმუში, რომელიც ხასიათდება ნაკლები სარგებლით და დიდი დანაკარგით. აკადემიური პროკრასტინაცია ხშირ შემთხვევაში დანაკარგით მთავრდება და მსმენელი, მისი სურვილის მიუხედავად, ვერ ასრულებს კურსის მოთხოვნებს, ვერ იღებს სათანადო ინფორმაციას და შესაბამისად, ვერ ასრულებს კურსს.

სამეცნიერო სფეროში პროკრასტინაცია აკადემიური მიღწევის და ზოგადად, სტუდენტის/მსმენელის კარგად ყოფნის ხელისშემშლელ ფაქტორად განიხილება. აკადემიურ სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, პროკრასტინაციის ფენომენი ბოლომდე არ არის შესწავლილი. მიმდინარე პროექტს აქტუალობას ძენს პროცესის განსაზღვრის და აღწერის განსხვავებული გზები, მსმენელების მიერ დროის და ძალისხმევის მენეჯერული უნარები, ფსიქოლოგიური მოქნილობა და აკადემიური თვით-ეფექტურობა, მათი ურთიერთკავშირი, აკადემიური პროკრასტინაციის მექანიზმები, მასზე მოქმედი ფაქტორები და შესაბამისად, მისი შემცირების გზები.

11	**ქეთევან კვესელავა** ლევან ჯიქიძე ირაკლი ბოჭორიშვილი ლიანა თედეშვილი ია ირემაძე ზურაბ სამხარაძე;	**გენერაციული დიზაინი**	სამი თვე (2025 წლის აპრილი, მაისი, ივნისი)	**ETA-036** **აკადემიური საბჭოს დადგენილება** **0 25 00455979**
ანოტაცია გენერაციული დიზაინი არის უახლესი მიდგომა, რომელიც იყენებს ხელოვნურ ინტელექტს (AI) და გამოთვლით ალგორითმებს ოპტიმიზებული, მაღალი ხარისხის დიზაინის შესაქმნელად. მისი აქტუალობა მოიცავს მრავალ სფეროს, მათ შორის არქიტექტურას, ინჟინერიას, პროდუქტის დიზაინს და ხელოვნებასაც კი. AI-ზე ორიენტირებული ალგორითმების გამოყენებით, გენერაციული დიზაინი საშუალებას გაძლევთ სწრაფად შეისწავლოთ დიზაინის უთვალავი ვარიაციები წინასწარ განსაზღვრულ პარამეტრებზე, როგორიცაა მატერიალური შეზღუდვები, სტრუქტურული მთლიანობა და გარემო. დღესდღეობით გენერაციული დიზაინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მისი უნარი გაზარდოს ეფექტურობა და ინოვაცია. მაგალითად, ინჟინერიასა და წარმოებაში, ის იძლევა მსუბუქ, მაგრამ სტრუქტურულად გამართულ კომპონენტებს, ამცირებს მასალის ნარჩენებს და აუმჯობესებს მდგრადობას. არქიტექტურაში ის ხელს უწყობს ორგანულ, ადაპტირებულ სტრუქტურებს, რომლებიც უფრო ეფექტურად რეაგირებენ გარემო პირობებზე, ვიდრე ტრადიციული დიზაინი. გარდა ამისა, კრეატიულ ინდუსტრიებში გენერაციული დიზაინი უბიძგებს მხატვრული ექსპრესიის საზღვრებს ახალი და არატრადიციული დიზაინის შექმნით.			
12	**თინათინ კროპაძე** რამაზ ჩიჩუა ქეთევან ჭიაბრიშვილი თეა ბიძინაშვილი	**დამხმარე სახელმძღვანელო „მენეჯმენტის ფსიქოლოგია“**	1 წელი	**ETA-037** **აკადემიური საბჭოს ოქმი** **7 25 00661986**
ანოტაცია სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია იუნკერის/მსმენელის ან ნებისმიერი დარგით დაინტერესებული პირის ფსიქოლოგიური მომზადების უზრუნველყოფა, მათი პროფესიული კომპეტენციის გაზრდა და პრაქტიკული მენეჯერული უნარების განვითარება; კურსის განმავლობაში				

იუნკერები მიიღებენ ინფორმაციას შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ისეთი ფუნდამენტური კონსტრუქტების შესახებ, როგორიცაა: ადამიანის პიროვნული მახასიათებლები, კოგნიტური უნარები, მოტივაცია, ლიდერობა, შრომითი განწყობები, სამუშაო-პირადი ცხოვრების ბალანსი, ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული კომუნიკაცია.

სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია იუნკერმა/მსმენელმა შეძლოს გაუთვალისწინებელ და ცვლად გარემოში აღმოცენებული სტრესის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიურ მექანიზმებში გარკვევა; თვითმოტივირებისა და დროის მართვის, ორგანიზაციული სტრესის მართვის ტექნიკების შესწავლა.

სახელმძღვანელოს შინაარსი მოიცავს ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა: პიროვნების როლი ორგანიზაციაში, ჯგუფები ორგანიზაციაში, ორგანიზაციული სისტემა(კერძოდ, პიროვნება, როგორც მართვის ობიექტი და სუბიექტი, თანამდებობა და თანამდებობრივი უფლებამოსილებანი და ა. შ.), თვითმენეჯმენტი, პერსონალის ქცევის მართვა, კომუნიკაცია ორგანიზაციაში, ფსიქოლოგიური კონსულტირება მენეჯერებისთვის, სამსახურებრივი სტრესის რაობა, მისი მართვა და დაძლევის სტრატეგიები, ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული ცვლილება და განვითარება და სხვა.